თეს. სადღესასწაულო ლიტურგია 19 ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულებაში პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარშიც აღევლინა. ლიტურგია ჯვრის მონასტრის მოძღვარმა, მამა ექვთიმემ ჩაატარა. წირვა-ლოცვის დაწყებამდე რამდენიმე მსჯავრდებული მოინათლა.

დაჯილდოება

10 იანვარს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი იოანე (სილაგაძე) — მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

თბილისის წმ. მიხეილ ტვერელის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავით ჯიშკარიანი — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

აღკვეცა

6 იანვარს მცხეთის წმინდა ეკატერინესა და ოლღას მონასტერში მონასტრის მოძღვარმა **მღვდელმონაზონმა სერაფიმემ** (ჯიქია) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი ეკატერინე (ჩიხლაძე) და სახელად უწოდა **ოლღა**.

გამოფენა უნივერსიტეტში — „ალაზნის გაღმა“

23-29 დეკემბერს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმისა და საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზებით თსუ-ს I კორპუსში გაიმართა გამოფენა სახელწოდებით — „ალაზნის გაღმა... საქართველოში“, რომელიც აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას 125 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ისტორიულ კუთხეში – საინგილოში, კახის რაიონში, მართლმადიდებელ ქართველთა ოჯახებში შემონახული ინგილოური ტრადიციული ქსოვის ნიმუშები და მალხაზ ნუროშვილის, მამა იოანე აბასაშვილის, გოგა ჩანადირის, შორენა და დალი თამაზაშვილების ფოტოები.

გამოფენა მოამზადეს თსუ-ს მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის დოქტორმა დავით სართანიამ და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სწავლულმა მდივანმა ქეთევან მგალობლიშვილმა.

სამწუხაროდ, გაქრობის პირას მისული ინგილოური ხალხური რეწვა, ქსოვის ხელოვნება დღესდღეობით სრულიად შეუსწავლელია. როგორც ქრისტიან, ისე გამაჰმადიანებულ ინგილოთა მიერ შექმნილი უნიკალური ქართული ხელოვნების ნიმუშების შედარება ამ კუთხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ბევრ საინტერესო ფურცელს გადაშლის.

ქალაქ კახის მკვიდრის, თავისი კუთხის დიდი მოჭირნახულის — მალხაზ ნუროშვილის დამსახურებაა ის, რომ დღეს მოგვეპოვება ინგილოური ხალხური ხელოვნების 120-ზე მეტი ფოტონიმუში. რაც შეეხება ზაქათალა-ბელაქნის მუსლიმ ქართველთა ხალხური რეწვის ნიმუშებს, სამწუხაროდ, მათი ფირზე აღბეჭდვა და ფოტოების შეგროვება დღემდე ვერ მოხერხდა. არადა, ეს ფრიად საშური საქმეა, ვინაიდან დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ნაკლები ნიმუშები რჩება და ბევრი უნიკალური ტრადიცია იკარგება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არის მცდელობა ინგილოური ქსოვის ორნამენტებში (რომელშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ჯვრებისა და ქრისტიანული საეკლესიო სიმბოლიკის გამოსახულებანი) ალბანური კულტურის კვალის პოვნისა და აშკარად ქართული ქსოვის ნიმუშების უცხო ცივილიზაციის კულტურული მემკვიდრეობის შედეგრებად აღიარებისა.

სერგო კერესელიძე

უფლის იმედი, ღვთის მადლის იმედი გქონდეთ! მადლი და წყალობა ღვთისა მოგანიჭებთ ძალას, რომ გაუმკლავდეთ ბოროტთან ბრძოლას!

დღეს ვაჯილდოებთ ჩვენს სამღვდელოებას:

მღვდელ-მონაზონი ილარიონი (კვირიკაშვილი) დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით და აღყვანილია იღუმენის ხარისხში;

მღვდელი ავთანდილ ცაბაძე დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში.

დღეს ვლოცავთ ავღანელთა 43-ე ბატალიონს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და მშვიდობა მოგცეთ თქვენ და სრულიად საქართველოს, ამინ!

ასევე ვლოცავთ შემდეგ გვარებს: ძამისტარიშვილებს, გარუჩავებს, ემხვარებს და ემუხვარებს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და ღმერთმა მალე გახსნას გზა აფხაზეთისაკენ, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

დაჯილდოება

10 იანვარს, თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიის მღვდელმსახური, **არქიმანდრიტი იოანე (სილაგაძე);**

გამშვენებული ჯვრით — თბილისის წმ. მიხეილ ტვერელის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი დავით ჯიშკარიანი.**

***

17 იანვარს, თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სამღვდელოება:

ოქროს ჯვარი და იღუმენის წოდება — **მღვდელ-მონაზონი ილარიონი (კვირიაშვილი);**

ოქროს ჯვარი და დეკანოზის წოდება — **მღვდელი ავთანდილ ცაბაძე.**

ხელდასხმა

19 დეკემბერს, ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ლიპარტელიანი) დიაკვნად აკურთხა ამბროლაურის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მედავითნე **ირაკლი თევდორაძე.**

***

2 იანვარს, წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ (შიოშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკვან ეფრემს (პაპუკაშვილი).**

***

7 იანვარს, წილკნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ (შიოშვილი) დიაკვნად აკურთხა **ბერი ზენონი (ანდრიაშვილი).**

აღკვეცა

19 დეკემბერს, ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი გიორგი შავგულაშვილი** და სახელად **ამბროსი** უწოდა (წმ. ამბროსი მედიოლანელის სახელზე).

***

19 დეკემბერს, ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის მამათა მონასტრის **მორჩილი იოსებ გიგოლაშვილი** და სახელად **ილარიონი** უწოდა (წმ. ილარიონ ქართველის სახელზე).

***

23 დეკემბერს, ქარმელის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი გიორგი კაპანაძე** და სახელად **გრიგოლი** უწოდა (წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელზე).

***

3 იანვარს, წილკნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ (შიოშვილი) ბერად აღკვეცა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **ნიკა ანდრიაშვილი** და სახელად **ზენონი** უწოდა.

***

3 იანვარს, ბანას წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემა-

ში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **გიორგი სამანიშვილი** და სახელად **ევდოკიმე** უწოდა (წმ. ევდოკიმე კაბადოკიელის სახელზე).

***

3 იანვარს, ურბნისის წმ. სტეფანე პირველმოწამეს სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ურბნისის წმ. ნეოფიტე ურბნელის სახელობის დედათა მონასტრის **მორჩილი მარიამ გოგოლაძე** და სახელად **თეოდორა** უწოდა (წმ. თეოდორა კესარიელის სახელზე).

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით გაუწყებთ, რომ 2015 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა რუის-ურბნისის ეპარქიაში მცხოვრები **სქემმონაზონი ტაბითა (ლაზარიშვილი)** და სამძიმარს უცხადებს მონატრის კრებულს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს, ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონი ტაბითა.**

***

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით გაუწყებთ, რომ 2016 წლის 6 იანვარს გარდაიცვალა რუის-ურბნისის ეპარქიის, ურბნისის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წევრი, **სქემმონაზონი მარიამი (გამეზარდაშვილი).**

მკითხველს, ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონი მარიამი.**

ამიტომაც თხოვნით მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, გაითვალისწინოს აღნიშნული და გიორგი ტატიშვილს, უსაფრთხოების მიზნით, დროულად გამოუყოს დაცვა.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

4 თებერვალი, 2016 წ.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის შემოღებას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის.

სოციალურ ქსელებშიც და ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებებშიც ვრცელდება ინფორმაცია ამ კანონპროექტთან საპატრიარქოს კავშირის შესახებ, მიაჩნიათ რა, რომ მისი მიზანი თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „ჯანსაღი კრიტიკის აცილებაა", რაც რეალობას არ შეესაბამება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მიმართ ცილისწამებლური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და გამოსვლები, მსგავსი კანონპროექტის მიღების საკითხი არც ადრე და არც ამჟამად ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა.

რელიგიურ თემებთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან მიმართებით მომავალ სამშაბათს საქართველოს საპატრიარქოში იგეგმება ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებების სამუშაო შეხვედრა.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

31 იანვარი, 2016 წელი

ა.წ 22-27 იანვარს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების ჟენევაში (შამბეზიში) გამართული შეხვედრის ძირითადი შედეგები ასეთია:

როგორც უკვე განვაცხადეთ, წმინდა და დიდ კრებაზე გასატანი ყველა დოკუმენტი გასაჯაროვდება;

შეთანხმებული და ყველას მიერ მიღებული საკითხების გარდა, სხვა თემა კრებაზე არ განიხილება;

წმინდა და დიდ კრებაზე მოხდება უკვე შეჯერებული საკითხების ხელახლა განხილვა და ერთსულოვანი გადაწყვეტილებების საბოლოო მიღება. თითოეული ავტოკეფალური ეკლესია ერთი ხმის უფლებით ისარგებლებს.

მიიჩნევა, რომ წმინდა და დიდ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ექნება საერთო მართლმადიდებლური აღიარება (ავტორიტეტი) და არა საყოველთაო სავალდებულო ხასიათი.

იგეგმება, რომ წმინდა და დიდი კრების გახსნასა და დახურვას მოწვეული სტუმრის სტატუსით დაესწრონ სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და დენომინაციების წარმომადგენლები შეზღუდული რაოდენობით; უშუალოდ კრებას კი მხოლოდ მართლმადიდებელი იერარქები, სამღვდელოების, ბერ-მონოზვნებისა და ღვთისმეტყველთა გარკვეული რაოდენობა.

კრების ჩატარება განზრახულია 16-28 ივნისს საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე.

აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ შამბეზიში ასევე განხილული იყო სამი საკითხი, რომელთაგან საერთო კალენდრის თემა ამოიღეს დღის წესრიგიდან. „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში" ნაწილობრივ ჩასწორდა, ხოლო დოკუმენტმა, — „ქორწინება და მისი დამაბრკოლებელი გარემოებები," — რადგან სათანადო ცვლილება არ განიცადა, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა და ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენელმა მას ხელი არ მოაწერეს, რაც ნიშნავს იმას, რომ საკითხი კიდევ უნდა დამუშავდეს.

P.S. საქართველოს საპატრიარქო ამზადებს კრებაზე განსახილველი ტექსტების ქართულ ვარიანტს და მალე გამოაქვეყნებს.

ხელდასხმა

7 თებერვალს ქ. ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკვან ნიკოლოზ კაპანაძეს.**

ინტელექტუალური კონკურსი — „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" 2016 წელი (სარაიონო ეტაპი)

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართება ინტელექტუალური კონკურსის სარაიონო ეტაპი მოსწავლეთა შორის.

- მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიასა და საზღვარგარეთ არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს;
- კონკურსი გაიმართება ორ ასაკობრივ ჯგუფში: V-VIII და IX-XII კლასის მოსწავლეებში;
- თითოეული გუნდი შედგება შვიდი ძირითადი და სამი სათადარიგო წევრისგან;

წმინდა სინოდის კრებამ დაადგინა:

1) წმინდა და დიდი კრების სამდივნოში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად დაინიშნოს გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა).

2) მსოფლიო საზოგადოებისადმი წმინდა და დიდი კრების მიმართვის ტექსტის შემდგენელი სარედაქციო კომისიის წევრად დასახელდეს თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე;

3) 2014 წლის მარტში, კონსტანტინეპოლში, ეკლესიათა წინამძღოლების შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, წმინდა და დიდ კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდიდან გამოირჩეს ოცდაოთხი (24) მღვდელმთავარი.

4) შედგეს სამუშაო შეხვედრები წმინდა სინოდის წევრების, სასულიერო პირებისა და ღვთისმეტყველების, რათა საბოლოო სახით შემუშავდეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია წმინდა და დიდ კრებაზე წარსადგენად.

ქრონიკა. ინფორმაცია

მილოცვა

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გულითადად ულოცავს დაბადების დღეს ბათუმისა და ლაზეთის, **მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი)!**

ვუსურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ღვთის შეწევნას მის მაღალ მსახურებაში დედაეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ!

აღკვეცა

23 იანვარს ოპიზას წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის **ბერი გერმანე (მურადოვი)** და სახელად **ხარიტონი** უწოდა (წმინდა ხარიტონ აღმსარებლის სახელზე).

ტაძრის კურთხევა

1 თებერვალს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ძამას ხეობაში **ფიჭვნარის** წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.

ხელდასხმა

2 თებერვალს შატბერდის წმინდა ეკატერინეს სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის **ბერი ლუკიანე (სხილაძე).**

* * *

12 თებერვალს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ფიჭვნარის წმ. ნიკოლოზის მამათა მონასტრის წინამძღვარს, **ბერ-დიაკვან ლაზარეს (მაისაშვილი).**

კონფერენცია — „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში"

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს მოხსენებების მიღებას სასკოლო-პრაქტიკული კონფერენციისათვის „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში".

მოხსენებები მიიღება 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით) 11.00 დან 18.00 საათამდე, როგორც წერილობით (ელიას მთა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, პირველი სართული, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი), ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მისამართი: **e-mail: ax.conference@gmail.com**

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს — შრიფტი - acadnusx; ზომა - 12, სტრიქონებს შორის დაშორება 1,5; აუცილებლად მიუთითეთ შესაბამისი წყაროები, რომლებიც თემაზე მუშაობისას გამოიყენეთ, ასევე თემის სათაური და თემის ავტორისა და ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია — სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი.

გაითვალისწინეთ, რომ „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში" არის კონფერენციის ზოგადი სახელწოდება და არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც თემის სათაური.

საკონფერენციო ნაშრომი შეიძლება ეხებოდეს შემდეგ თემებს:

- ღმერთი, სამშობლო, ადამიანი
- ადამიანი და სამყარო
- რა არის ჭეშმარიტება
- სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა
- თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა
- ადამიანი, შემოქმედი
- ადამიანი, ხატება ღვთისა

ქრონიკა. ინფორმაცია

ბაჩანა ბრეგვაძე მთაწმინდაზე დაიკრძალა

18 თებერვალს, სიონის საპატრიარქო ტაძარში, გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვის დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახლადშესვენებულის სულის პანაშვიდი გადაიხადა, განსვენებულის ოჯახს მიუსამძიმრა.

იმავე დღეს ბაჩანა ბრეგვაძე მთაწმინდაზე დაიკრძალა.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2016–2017 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:

ა) თეოლოგია (აკადემია, სამაგისტრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

ბ) თეოლოგია (სემინარია, საბაკალავრო პროგრამა, მხოლოდ მამაკაცები);

გ) ქრისტიანული ფსიქოლოგია (საბაკალავრო პროგრამა);

დ) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო პროგრამა);

ე) საეკლესიო არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) (საბაკალავრო პროგრამა);

ვ) ხატწერა (საბაკალავრო პროგრამა);

ზ) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია (საბაკალავრო პროგრამა).

სწავლა უფასოა.

ბაკალავრიატში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული,სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის, მფლობელნი ან მასთან გათანაბრებული პირები.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარდება მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა, შიდა გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1) ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);

2) საქართველოს ისტორია (ზეპირი);

3) უცხოური ენა (ტესტირება).

ის აბიტურიენტები, რომლებიც სპეციალობად აირჩევენ ხატწერას , დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციას ან საეკლესიო არქიტექტურას (ხუროთმოძღვრებას), გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საგნებისა, დამატებით ჩააბარებენ გამოცდას ხატვაში.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე შიდა გამოცდები ჩატარდება 31 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მისამართი: თბილისი, სიონის ქუჩა 13/40.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით; ტელ.: 2920821 ;

ელ.ფოსტა - sasuliero_ akademia@yahoo.com

ვებგვერდი: www.tsas.ge

საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის განცხადება

ააიპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი"

აცხადებს მიღებას 2016-2017 სასწავლო წლისათვის საეკლესიო მუსიკის ბაკალავრის პროგრამაზე. სწავლა უფასოა.

მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრირებული საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტები. რეგისტრაცია წარმოებს 16 მარტის ჩათვლით.

ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ბარდება მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

593 181 000; 599 72 86 30; 599 55 52 50

ვებგვერდი: galoba.edu.ge

დაჯილდოება

22 თებერვალს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

დეკანოზი გრიგოლ ჭიჭინაძე — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ანდრია არველაძე — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი სტეფანე ნანობაშვილი — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ზურაბ სუბელიანი — მიტრის ტარების უფლებით;

მღვდელი ლაზარე კანდელაკი აღიყვანა დეკანოზის ხარისხში და დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრით.

კონფერენცია — „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში"

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს მოხსენებების მიღებას სასკოლო-პრაქტიკული კონფერენციისათვის „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში"

მოხსენებები მიიღება 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით) 11.00 დან 18.00 საათამდე, როგორც წერილობით (ელიას მთა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, პირველი სართული, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი), ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მისამართი: e-mail: ax.conference@gmail.com

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს — შრიფტი - acadnusx; ზომა - 12, სტრიქონებს შორის დაშორება 1,5; აუცილებლად მიუთითეთ შესაბამისი წყაროები, რომლებიც თემაზე მუშაობისას გამოიყენეთ, ასევე თემის სათაური და თემის ავტორისა და ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია — სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი.

გაითვალისწინეთ, რომ „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში" არის კონფერენციის ზოგადი სახელწოდება და არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც თემის სათაური.

საკონფერენციო ნაშრომი შეიძლება ეხებოდეს შემდეგ თემებს:

- ღმერთი, სამშობლო, ადამიანი
- ადამიანი და სამყარო
- რა არის ჭეშმარიტება
- სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა
- თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა
- ადამიანი, შემოქმედი
- ადამიანი, ხატება ღვთისა
- პირველი მცნება
- პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა
- ისმინე ჩემი უფალო
- შეიცან თავი შენი
- მოგზაური ვარ წუთისოფელში
- ბედნიერება
- დაეუფლე დროს
- ცხოვრების მიზანი
- რომ შემეძლოს მთების დაძვრაც კი, თუ სიყვარული არა მაქვს არა რაი ვარ
- წყარო სიხარულისა
- შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი

ასევე სხვა თემებიც

საკონტაქტო ნომერი : 599 24 88 56.

კონკურსი — „ნახატები ბიბლიურ თემებზე"

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით 2016 წლის 15 თებერვლიდან აცხადებს კონკურსს — „ნახატები ბიბლიურ თემებზე".

კონკურსი გაიმართება სამ ეტაპად და მასში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს

კონკურსი გაიმართება 6-დან 9 წლამდე, 10-დან 14 წლამდე და 15-დან 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში.

განაცხადები მიიღება 2016 წლის 15 მაისის ჩათვლით საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 18 საათამდე.

კონკურსანტებმა განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ თავისუფალ თემაზე შესრულებული სამი ნახატი.

ახალგაზრდული ცენტრის მისამართი: ელიას მთა. წმ. სამების საკათედრო ტაძარი. I სართული.

კონკურსის დებულება იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.axalgazrdoba.ge.

განაცხადის ფორმა მითითებულია დანართის სახით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე 595 90 52 58 - ლიკა ზაზაშვილი.

საბავშვო წიგნის IV ფესტივალი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი იწყებს საბავშვო წიგნის IV ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციას 2016 წლის 15 აპრილამდე.

ქრონიკა. ინფორმაცია

ტაძრის კურთხევა

27 თებერვალს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) **ტაბაკინის** წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის უდაბნოდ წოდებულ ტერიტორიაზე აკურთხა **წმ. ილარიონ ქართველის (ყანჩაველი)** სახელზე მცირე ტაძარი, რომელიც ბიზნესმენმა ბადრი ნაკაშიძემ აღადგინა. მეუფე მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით აქვე დაარსდება მამათა მონასტერი.

დაჯილდოება

28 თებერვალს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა თბილისის ნაძალადევის ყოვლადწმინდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურნი:

მიტრით — დეკანოზი **ფარნაოზ კობიაშვილი** და დეკანოზი **ზაზა კირვალიძე;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვდელი **ირაკლი კენკებაშვილი** და მღვდელი **გაბრიელ ასათიანი**.

კურთხევა

ბრიუსელის წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძარში ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა დოსითეოსმა (ბოგვერაძე) კერძო დიაკვნად დაადგინა სტიქაროსანი გიორგი გორდაძე.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა ქუთაის-გაენათის ეპარქიის, სოფ. ფარცხანაყანევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი სერგი ცუცქირიძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახში.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **მღვდელი სერგი.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 22 თებერვალს გარდაიცვალა ბოლნისის ეპარქიის, ორსაყდრის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი იაკობ კობიაშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **დეკანოზი იაკობი.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 28 თებერვალს გარდაიცვალა მცხეთა-თბილისის ეპარქიის, თბილისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის (სამტრედიის ქუჩაზე) წინამძღვარი, **დეკანოზი ანტონ ხანთაძე** და სამძიმარს უცხადებს მის ვაჟს, ამავე ტაძრის ღვთისმსახურს, მღვდელ გიორგი ხანთაძეს და განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **დეკანოზი ანტონი.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 29 თებერვალს გარდაიცვალა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის, მენჯის შუშანიების სავანის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის **მონაზონი ნინო (შუშანია)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **მონაზონი ნინო.**

საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის განცხადება

ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი"- აცხადებს მიღებას 2016-2017 სასწავლო წლისათვის საეკლესიო მუსიკის ბაკალავრის პროგრამაზე. სწავლა უფასოა.

მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრირებული საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტები. რეგისტრაცია წარმოებს 15 მარტის ჩათვლით.

ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ბარდება მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

593 181 000; 599 72 86 30; 599 55 52 50

ვებგვერდი: galoba.edu.ge

წმინდა სერაფიმე საროველის პარაკლისი

თბილისის სულთმოფენობის სახელობის მშენებარე ტაძრისთვის მოსკოვში დაიწერა წმინდა სერაფიმე საროველის ხატი, რომელშიც ჩაბრძანებულია წმინდა ნაწილი. ტაძრის კურთხევამდე ხატი დაბრძანებული იქნება წმინდა ნინოს სახ. ტაძარში (ტაძარი მდებარეობს ვაჟა-ფშაველას გამზირზე, წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიასთან).

ყოველ **სამშაბათს**, საღამოს 6 საათზე, ხატთან აღევლინება პარაკლისი და მორწმუნეებს საშუალება ექნებათ მიემთხვიონ ამ სიწმინდეს.

იქ აღემატება მადლი ღვთისა. და აი, დღეს ჩვენ განსაკუთრებით ვხედავთ ჩვენს ცოდვებს. უნდა შევუნდოთ ერთმანეთს შეცოდებანი. როგორი ძნელია, შეუნდო იმ ადამიანს, რომლისთვისაც სიკეთეს აკეთებდი და აკეთებ, მაგრამ უნდა დავძლიოთ ჩვენი თავი და ჩვენი ამპარტავნება. სხვას თუ არ შეუძლია შენთან მოსვლა პატიებისთვის, შენ უნდა მოიკრიბო ძალა, მიხვიდე მოყვასთან და სთხოვო პატიება და შეუნდო. მაცხოვარი ამბობს, თუ მოყვასს შეუნდობ, მამაზეციერი შეგინდობს და თუ არ შეუნდობ არც მამაზეციერი შეგინდობს. და აი, ამ კურთხეულ დღეს, ძმანო და დანო, ჩვენ სულიერო სვილებო, მე, ცოდვილი მონა ღვთისა გთხოვთ, შემინდეთ ჩემი ცოდვები — ნებსითნი და უნებლიეთნი.

უფალმა შეგინდოთ შეცოდებანი თქვენნი ნებსითნი და უნებლიეთნი, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!

უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან პეტრეს და მეძავს ცრემლთა მიერ მიტევებაი ცოდვათა მიანიჭე, მეზვერესა მისვლითა სიხენეშისა გულთა მისთანი განუმართლე, ეგრეთვე მოხედე აღსარებასა მონათა და მხევალთა შენთასა, საქართველოსა და უცხოეთში მყოფთა თანამემამულეთა ჩვენთა და რაოდენი სცოდეს სიტყვით, გინა საქმით ანუ გონებით, მეცნიერებით და უმეცრებით, ნებსით თუ უნებლიედ.

ჰოი, კაცთმოყვარეო მეუფეო, შეუნდე, რამეთუ შენ მხოლოსა გაქვს ხელმწიფებაი ცოდვათა მიტევებისა, რამეთუ ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა და კაცთმოყვარებისა ხარ და შენდა დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და წმინდისა სულისათა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი!

ელ.ვერსია მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

დაჯილდოება

13 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოების წარმომადგენლები:

დეკანოზი ნიკოლოზ ბითაძე — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი იოსებ ბუხრიკიძე მიტრის ტარების უფლებით;

მღვდელი ბასილ გუგუციძე — დეკანოზის წოდებითა და ოქროს ჯვრით.

დაჯილდოება

15 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა ჩითახევის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის (მწვანე მონასტერი) წინამძღვარს, **ილუმენ იოაკიმეს (ჩიკვილაძე).**

გვარის კურთხევა

13 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა მურღულიანების გვარი.

ხელდასხმა

13 მარტს ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) დიაკვნად აკურთხა ფოთოლეთის წმ. გრიგოლ ხანძთელის მამათა მონასტრის **ბერი თეოდორე (ხიდაშელი).**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მორჩილი ანა (გენტრიეტა ტაბალუა) და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. საერო ცხოვრებაში მორჩილი ანა გახლდათ ფიზიკა-მათემატიკოსი, პროგრამისტი, მეცნიერ-მუშაკი. იგი სამგზის მონაწილეობდა წმინდა ნინოს გზაზე ფეხით მოლოცვებში. მორჩილი ანა საგურამოს მონასტერში დაიკრძალა.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მორჩილი ანას სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ფთიზიატრი და პულმონოლოგი — 12 მარტს, 12.00-13.00 სთ.;

დერმატოლოგი — 13 მარტს, 12.00-13.00 სთ.;

რევმატოლოგი — 15 და 29 მარტს, 17.30 სთ.;

ნევროლოგი — 17 მარტს, 17.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 18

მორჩილებად აკურთხა: **ნანა ლაზაშვილი, მანანა ჯაბაური, ნინო წოწკოლაური, სალომე ხურციძე, ელენე თანიაშვილი, მარინე კვახაძე, გვანცა ახვლედიანი, ნათელა ბაქრაძე.**

აღკვეცა

13 მარტს ქვემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა პეტრემ (თულაძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **ზაზა ცილიკაშვილი** — სახელად ეწოდა **ანდრია; გიორგი ოთიაშვილი** — სახელად ეწოდა **ანტონი.**

* * *

19 მარტს მცხეთის სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **მაკრინე ეფრემიძე** — სახელად ეწოდა **მარიამი; ნანა მარგველანი** — სახელად ეწოდა **ათანასია; ელენე მერაბიშვილი** — სახელად ეწოდა **დარია; ხატია ალფაიძე** — სახელად ეწოდა **მარინე; ნათია ახობაძე** — სახელად ეწოდა **ირინე; ეთერ მაისურაძე** — სახელად ეწოდა **ქსენია.**

ტაძრის კურთხევა

20 მარტს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ზესტაფონის ცენტრალურ სასაფლაოზე ახლად აგებული ტაძარი მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობაზე. ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი გიორგი კირკიტაძე** დაინიშნა.

დაჯილდოება

20 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი ფრიდონ ასათიანი.**

* * *

27 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის დააჯილდოვა სურამისა და ხაშურის ეპარქიის სამღვდელოება:

მიტრით — **დეკანოზი ანდრია მანჩაკოვი; დეკანოზი დავით ლომიძე;**

გამშვენებული ჯვრით — **დეკანოზი მიქაელ ელიაძე;**

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი 2016–2017 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე.

მაგისტრატურაში მიღება ხდება შიდა გამოცდებით, საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

შიდა გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1) მუსიკის ისტორია და თეორია;

2) ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (კატეხიზმო);

3) ინგლისური ენა.

სამაგისტრო პროგრამაზე საბუთები მიიღება 1 სექტემბრიდან – 14 სექტემბრის ჩათვლით. გამოცდები ჩატარდება 16 სექტემბრიდან – 22 სექტემბრის ჩათვლით.

სწავლა დაიწყება 3 ოქტომბრიდან.

მისამართი: თბილისი, სანდრო ეულის 3 (საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" შენობა, მე-5 სართული).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ტელ: 2306594; მობ: 599728630; 593181000;

ელ.ფოსტა:

ვებგვერდი: saeklesiogaloba@yahoo.com;

facebook-ზე:

https://www.facebook.com/galobisuniversiteti/

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 27 თებერვალს გარდაიცვალა ბოდბის ეპარქიის მღვდელმსახური, სიღნაღის წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ექვთიმე სინჯიაშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **დეკანოზ ექვთიმეს** სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 10 მარტს გარდაიცვალა საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის პენსიონერი მღვდელმსახური, საგარეჯოს წმ. დოდო გარეჯელის სახელობის ტაძრის ყოფილი წინამძღვარი, მღვდელი შოთა როსტიაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **მღვდელ შოთას** სული.

აღკვეცა

31 მარტს სოფ. ურბნისის წმ. სტეფანე პირველმოწამეს სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ურბნისის წმ. ნეოფიტე ურბნელის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენია ელენე პეტრიაშვილი** და სახელად **ეფემია** უწოდა (ეფემია დიდმოწამეს სახელზე).

***

31 მარტს სოფ. დირბის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე სახელობის დედათა მონასტრის მონეზე **ზინა (ევგენია ილურიძე)** და სახელად **ზინობია** უწოდა (ზინობია კილიკიელი მოწამეს სახელზე).

***

2 აპრილს ფიჭვნარის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე სახელობის მამათა მონასტრის **ბერი ნილოსი (გიგაშვილი)** და სახელად **ათანასე** უწოდა (წმ. ათანასე ათონელის სახელზე).

***

2 აპრილს ღელეს წმ. ლაზარე ხატმწერის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა ამავე სახელობის მამათა მონასტრის **მორჩილი გელა ბერიკაშვილი** (მცირე სქემაში) და სახელად **გერმანე** უწოდა (წმ. გერმანე გარეჯელის სახელზე).

***

5 აპრილს კარიბჭის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მონაზვნად აღკვეცა ამავე სახელობის დედათა მონასტრის **მორჩილი მაია სამსიანი** (მცირე სქემაში) და სახელად **მანეფა** უწოდა (წმ. მანეფა მოწამეს სახელზე).

ევროკომისარი სტუმრად საპატრიარქოში

2 აპრილს საპატრიარქო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო ევროკომისარი დიმიტრი ავრამოპულოსი, თამხლებ პირებთან ერთად.

ევროკომისართან საუბარში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე მაღალი თანამდებობის პირის ჩამობრძანების გამო. უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებზე ისაუბრა; მისი აზრით, ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ევროპის ნაწილი და იმედი გამოთქვა, რომ მალე განხორციელდება ჩვენი ქვეყნის ევროსტუქტურებში გაერთიანება და შედგება ვიზების ლიბერალიზაცია.

„დიდი სურვილი გვაქვს, რომ საქართველო იყოს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების წევრი. მადლობლები ვართ იმის გამო, რასაც თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის აკეთებთ. საქართველოს სჭირდება თქვენი თანადგომა. მოგეხსენებათ, დღემდე დარღვეულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ეს არის ღია ჭრილობა საქართველოს სხეულზე და ჩვენთვის ეს უდიდესი ტკივილია. მე 11 წელი აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს უძველესი ნაწილებია", — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ევროკომისარ დიმიტრი ავრამოპულოსთან და მის თანმხლებ პირებთან შეხვედრაზე.

შეხვედრის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა ევროკომისარს ევროპაში მცხოვრებ ახალგაზრდა ქართველ არალეგალებზე ესაუბრა და მათი დახმარება სთხოვა: „უკანასკნელ პერიოდში მრავალი ქართველი ახალგაზრდა წავიდა ევროპაში და დღეს ისინი იქ არალეგალურად ცხოვრობენ. ეს ართულებს მათ ცხოვრებას და ჩვენს ცხოვრებასაც — მათ არ შეუძლიათ თავისუფლად მიმოსვლა, სამშობლოში ოჯახის მონახულება. მათი ლეგალიზაცია უნდა მოხდეს. თუ შესაძლებელი იქნება ეს გაკეთდეს, ჩვენ ძალიან მადლობლები დაგრჩებით. მეტად მოხარული ვართ, რომ ასეთ მაღალ თანამდებობაზე მართლმადიდებლური მრწამსის ადამიანი ბრძანდება", — განაცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ევროკომისართან საუბარში.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

28 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს სააღდგომო ტურს იერუსალიმში – წმინდა მიწაზე;

შეხვდით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს იმ ადგილას, სადაც მკვდრეთით აღდგა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილები, ტურის ღირებულება შეადგენს 1400 დოლარს, ერთი კვირა, სრული პაკეტით, რომელიც მოიცავს შემდეგს (ორმხრივი ავიაბილეთი, 4-5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, 2-ჯერადი კვებით; გიდის მომსახურეობა, ტრანსპორტირება, სამუზეუმო, დამატებითი ყველა ხარჯი, სამოგზაურო დაზღვევა და სრულიად იერუსალიმის სიწმინდეების მოლოცვა).

დაწვრილებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: მობ.: 577 443 010, (032) 2 92–39–78,

მისამართი: საქართველოს საპატრიარქო, ერეკლე მეორეს მოედანი #1. (სანაპიროს მხრიდან) სამუშაო საათები 11-დან 17 საათამდე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ქადაგება საზეიმო პარაკლისზე

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობლიურ ტაძარი მახათას მთაზე, 5 აპრილი, 2016 წ.

„აგრესია და ომები, რომელიც დღეს მსოფლიოში მძვინვარებს, იმის შესახებ მეტყველებს, რომ ჟამი ახლოს არს!“

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს! წყალობა უფლისა არის ჩვენ ზედა! კიდევ ერთხელ მოიღო უფალმა წყალობა და საქართველოში ჩამობრძანდა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი, რომელიც ათონის წმინდა მთაზე დაიწერა.

დღეს შევთხოვთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ დედას, რომ მშვიდობა მოგვმადლოს ჩვენ და მთელ მსოფლიოს. თქვენ ხედავთ, როგორ ძლიერდება აგრესია, როგორი საშიში გახდა ცხოვრება. ამ ყველაფრის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში, ჩვენს გულსა და გონებაში უნდა ვეძიოთ. აგრესია და ომები, რომლებიც დღეს მსოფლიოში მძვინვარებს, იმის შესახებ მეტყველებს, რომ ჟამი ახლოს არს!

ჩვენ დღეს ვილოცებთ და შევთხოვთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ დედას, რომ მოიღოს წყალობა და დაამშვიდოს ცხოვრება სოფლისა!

ღმერთმა დაგლოცოთ და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ გადაგაფაროთ თავისი კალთა თქვენ და მთელ მსოფლიოს!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქადაგებების ელ.ვერსია
მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

ტაძრის კურთხევა

6 აპრილს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. **მეორე სვირის** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარი, სადაც დაარსდება დედათა მონასტერი. ტაძარში **დეკანოზი ნოე კილაძე** იმსახურებს. ტაძრის ქტიტორია ბატონი **ბეჟან წაქაძე**.

ხელდასხმა

7 აპრილს მეორე სვირის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ვანისა და ბაღდადის ეპარქიის **დიაკვან ხარება ჩიქოვანს.**

აღკვეცა

7 აპრილს ლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში, წინამძღვარმა იღუმენმა ლუკამ (ფალავანდიშვილი) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **ლაშა გოგშელიძე** — სახელად ეწოდა **აბიბოსი** და **ვიტალი ნედოსეკინი** — სახელად ეწოდა **შიო.**

მე-5 კვირა დიდი მარხვისა

წმინდა მარიამ ეგვიპტელის ხსენება

არ დავივიწყოთ უფლის მოწყალება, რომელმაც სიკვდილის უფსკრულიდან ამოიყვანა უდიდესი ცოდვილი!

ცხოვრება წმინდა მარიამ ეგვიპტელისა, რომელსაც დღეს წმინდა ეკლესია იხსენებს, ცხადია, ბევრი ჩვენგანისთვის ცნობილია. ასევე კარგად ვიცით, რომ ის უდიდესი ცოდვილი იყო, მეძავი; მაგრამ მას შემდეგ, რაც ღმერთმა არ დაუშვა ეკლესიაში შესულიყო და სხვებთან ერთად ქრისტეს სიცოცხლის მომნიჭებელ ჯვარს მთხვეოდა, მოინანია და უდაბნოში განმარტოვდა. აქ იგი 47 წელი მოსაგრეობდა — მარხვით, ლოცვით, ვნებებთან ბრძოლით — და ასეთი ღვაწლით იმდენად გაიმარჯვა სხეულებრივ ვნე-

ლაიშვილი) დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ლუკა (ბაკურაძე) დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელ-მონაზონი ანდრია (მამულაშვილი) აღყვანილია იღუმენის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

მღვდელი პავლე (ქინქლაძე) აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

მღვდელი გიორგი (ჭელიძე) დაჯილდოებულია დეკანოზობითა და ოქროს ჯვრით;

მღვდელი მიქაელი (გუდავაძე) აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

მღვდელი გიორგი (ბარამიძე) აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

იღუმენი თევდორე (არღვლიანი) აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში და დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრითა და მიტრით;

მონაზონი სარა (დათებაშვილი) აღყვანილია იღუმენის ხარისხში და დაჯილოდებულია ოქროს ჯვრით.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო!

ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

ჩვენთან არს ღმერთი!

ელ.ვერსია მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

პრესკონფერენცია საპატრიარქოში — „ნუ მოჭრი ბზას"

18 აპრილს საპატრიარქო რეზიდენციაში დამდეგი ბზობის დღესასწაულისთვის ბზის მცენარის მოფრთხილებასთან დაკავშირებით, კამპანიის „ნუ მოჭრი ბზას" ფარგლებში მოეწყო პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), გარემოს დაცვის მინისტრი, ბატონი გიგლა აგულაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სამინისტროს წარმომადგენლები და გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია CANN-ის წევრები.

მომხსენებლებმა მოსახლეობას მოუწოდეს, რომ მოუფრთხილდნენ ბზას და დღესასწაულისთვის შეიძინონ ბზის ნარგავები ქოთნებში და სახლის პირობებში გაახარონ. 1 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება მისი ეზოში გადარგვა და ახალი ნარგავის ქოთნით შეძენა. ბზის მოფრXილების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს, როდესაც კოლხური ბზა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა კოლხური ბზის გადაშენებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და საჯარიმო სანქციებზე ისაუბრა. მინისტრმა აღნიშნა, რომ კოლხურ ბზას დასავლეთ საქარტველოსი გაუჩნდა სოკოვანი დაავადებისა და ე.წ. „ბზის სიდამწვრობა". ერთ-ერთი მათგანი ექვემდებარება მკურნალობას, მეორე კი ნაკლებად. ბატონი გიგლა აგულაშვილის განმარტებით, ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად შეიქმნა ბზის დიდი რაოდენობიტ მოჭრის და სავაჭროზე თბილისში ჩამოტანის საშიშროება. გარდა იმისა, რომ ბზა ნადგურდება, არსებობს ასევე სხვა საფრთხეც: მოხდა დასავლეთ საქართველოდან ბზის დაავადების გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს ბზის ჯიშებზე. ამიტომ სამინისტრო ბზის მოჭრაზე მკაცრ კონტროლს შემოიღებს. საჯარიმო სანქციების ოდენობა 200-500 ლარს მიაღწევს, ხოლო თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი 1000 ლარს გადააჭარბებს, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

ბატონმე გიგლამ ასევე განაცხადა, რომ შეიქმნა ბზის თესლის ბანკი ჯანსაღი კორომების მისაღებად და ხდება ბზის კალმით გამრავლება. დაინტერესებულ პირებს სახელმწიფო ხელს შეუწყობს ბზის ნარგავების გამრავლების საქმეში. სამინისტრო სთავაზობს მოსახლეობას ეროვნულ საშენ მეურნეობაში გამოყვანილ ბზას, რომელიც ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიებზე გაიყიდება.

დაჯილდოება

17 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — არქიმანდრიტი **გაბრიელი (კახელაშვილი);**

არქიმანდრიტის წოდებით — იღუმენი **თეოდორე (არღვლიანი);**

გამშვენებული ჯვრით — დეკანოზი **ზაქარია თხილაიშვილი;** დეკანოზი **ლუკა ბაკურაძე;**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — მღვდელ-მონაზონი **ანდრია (მამულაშვილი);**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვდელი **პავლე ქინქლაძე;** მღვდელი **გიორგი ჭელიძე;** მღვდელი **მიქაელ გუდავაძე;** მღვდელი **გიორგი ბარამიძე.**

ოქროს ჯვრითა და იღუმენიას წოდებით — მონაზონი **სარა (დათებაშვილი).**

ტაძრის კურთხევა

17 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა დოსითეოსმა (ბოგვერაძე) აკურთხა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის 53-ში, მარშალ გელოვანის სკვერში ახლადაშენებული **სულთმოფენობის სახელობის** ეკლესია.

ტაძრის მშენებლობა 2013 წელს დაიწყო. ქტიტორია ბატონი თეიმურაზ ნიკოლაიშვილი, ხოლო აშენების იდეა ეკუთვნის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ იოსებ გოგოლაძეს.

სტუდენტური კონფერენცია

15 აპრილს საქართველო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია — „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება", რომელსაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან და ტურისტული კომპანიების წარმომომადგენლებთან ერთად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი ჩოგოვაძე და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. კონფერენცია სხვა თემატიკასთან ერთად რელიგიური ტურიზმის პრობლემატიკასაც ეხებოდა. საზოგადოება „ქურმუხელის" წარმომადგენელმა, გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ტურიზმის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა რუსუდან ტარტარაშვილმა წარმოადგინა მოხსენება-პრეზენტაცია თემაზე „რელიგიური ტურიზმის განვითარების თავისებურებანი ისტორიულ ჰერეთში (საინგილო)". პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო გიშის, კახისა და ქურმუხის წმ. გიორგის, ალიბეგლოს წმ. ნინოს, კახის ალავერდის ტაძრები, ლექართის სამონასტრო კომპლექსი, ყუმის ბაზილიკა, კასრის საყდარი და სხვ. მოხსენებამ დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი მხრიდან აღინიშნა, რომ სამწუხაროდ, ბოლო წლებში საინგილოს ქართულ ტაძრებზე გაჩნდა წარწერები აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც გვამცნობს, რომ ისინი თურმე „ალბანური კულტურის ძეგლებია"; აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველებს ეზღუდებათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება (განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში, სადაც ქართული სექტორი 4 სკოლიდან მხოლოდ ერთში შემორჩა, ხოლო სკოლების აზერბაიჯანული ადმინისტრაციისა და პედაგოგების მხრიდან გაკვეთილებზე მიმდინარეობს პროპაგანდა, რომ ინგილოები არა ქართველები, არამედ „ალბანელები" არიან, მცირეწლოვან მოსწავლეებს კი ქართულად საუბარს უკრძალავენ და ფიზიკური დასჯით ემუქრებიან). ეს ყოველივე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აზერბაიჯანის შესაბამის სტრუქტურებთან მოლაპარაკებების აუცილებლობას განაპირობებს.

სერგო კერესელიძე

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის, ხარაგაულის ოლქის მთავარხუცესის, არქიმანდრიტ მაკარის (გოცაძე) ძმა — **დიმიტრი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული მონა ღვთისა **დიმიტრის** სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 23, აპრილს, 13.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 22 აპრილს, 17.30 სთ.;

ეპილეფტოლოგი — 17 აპრილს, 12.00-14.00 სთ.

დერმატოლოგი — 24 აპრილს, 12.00-13.00 სთ.;

ფთიზიატრი და პულმონოლოგი — 23 აპრილს, 12.00-13.00 სთ.;

კარდიოლოგი — ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 17.30 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ინფექციონისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის, ნეიროქირურგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 599576531.

განცხრომას, ხოლო მწუხარების დროს - სასოწარკვეთილებას.

სახარებაში წერია, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დალოცა მოწაფენი და ლოცვის დროს ამაღლდა ზეცად. მას შესცქეროდნენ მოციქულები და სხვანიც და ხედავდნენ, თუ როგორ შორდებოდათ უფალი. ამ დროს მათ გამოეცხადნენ ანგელოზები და უთხრეს: როგორც ხედავთ დიდებით ამაღლებას უფლისა, ისე იქნება მისი დიდებით მოსვლაც. სახარებაში წერია, რომ ამ გამოცხადების შემდეგ მოციქულები გამობრუნდნენ უკან „სიხარულითა დიდითა". თითქოს გასაკვირია, მაცხოვარი დაშორდა მათ და მოციქულები გახარებული არიან. მაგრამ ისინი გახარებულნი იყვნენ იმ სიტყვების გამო, რომლებიც უფალმა მათ და მთელ ქვეყანას უთხრა: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამინ." ეს სიტყვები უნდა გვახსოვდეს, - უფალი ჩვენთანაა! მაცხოვარი ბრძანებს: „სადაც ორნი ან სამნი შეიკრიბებიან ჩემი სახელით, — მე მათ შორის ვარ". ამიტომ ვართ დარწმუნებულნი, რომ დღესაც ჩვენ შორისაა უფალი და ვმადლობთ მას ამ დიდი წყალობისათვის!

მოციქულებს ჰქონდათ შესანიშნავი და საოცარი წესი: როცა ტრაპეზზე სხდებოდნენ, აუცილებლად ტოვებდნენ ორ თავისუფალ ადგილს: ერთს მაცხოვრისთვის და ერთს ღვთისმშობლისათვის. მათ სწამდათ, რომ მაცხოვარი და ღვთისმშობელი უჩინრად მათთან იყვნენ. მოციქულების ეს ტრადიცია მთელ მსოფლიოში მარტოოდენ საქართველომ შეინარჩუნა, როცა ჩვენ ტრაპეზზე ვსხდებით, პირველი სასმისით უფალი იდიდება, ხოლო ბოლო სასმისი აუცილებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებელია. ეს ტრადიცია, სუფრის ეს კულტურა, არ აქვს არც ერთ სხვა ეკლესიას, არც ერთ სხვა ერსა თუ ქვეყანას.

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

ნინოობა ალიბეგლოში

1 ივნისს ქართველთა განმანათლებლის, წმინდა მოციქულთასწორ ნინოს ხსენების დღე საზეიმოდ აღინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, საინგილოში, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე), სამღვდელოებასთან ერთად, ღამისთევის მსახურება შეასრულა სოფელ ალიბეგლოს წმინდა ნინოს ტაძარში, დილით, 11 საათზე კი იმავე ტაძარში წმინდა ნინოს პარაკლისი გადაიხადა. მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად ნინოობის დღესასწაულზე ალიბეგლოს ესტუმრა საქართველოს გენერალური კონსული განჯაში, ბატონი მამუკა ბალავაძე.

ალიბეგლო (ისტორიული ქათმისხევი) კახის რაიონში ყველაზე დიდი სოფელია, სადაც 1400-მდე მართლმადიდებელი ქართველი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ალიბეგლოს წმინდა ნინოს ეკლესია 2011 წელს საზეიმოდ გაიხსნა და აზერბაიჯანული კანონმდებლობის შესაბამისად გატარდა რეგისტრაციაში, ადგილობრივი ადმინისტრაცია ტაძარში ქართველი მოძღვრის დანიშვნის უფლებას დღემდე არ იძლევა. ამის გამო, ალიბეგლოს, ისევე როგორც საინგილოს სხვა ქართულ სოფლებში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქართველებს, წირვა-ლოცვაზე დასასწრებად ქალაქ კახში ან ლაგოდეხში უწევთ ჩასვლა.

სერგო კერესელიძე

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს (მახარაძე) გარდაეცვალა დედა — ელენე ნებიერიძე-მახარაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ელენეს სული.

***

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის დამსახურებული მხცოვანი მღვდელმსახური, დეკანოზი ლეონტი ჟვანია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული დეკანოზ ლეონტის სული.

ხელდასხმა

29 მაისს ხაშურის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა სვიმონმა (ცაკაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ზურაბ ტყემალაძეს.**

მღვდელი ზურაბი დიდი დიღმის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

ქრონიკა. ინფორმაცია

სამძიმრის წერილი ფრანგ ხალხს 15 ივლისი, 2016 წელი

მის აღმატებულებას
საფრანგეთის პრეზიდენტს,
ბატონ ფრანსუა ოლანდს

თქვენო აღმატებულებავ,

მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ნიცაში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და სხვა მრავალი დააზიანა.

სამწუხაროა, რომ დღეს მსოფლიო გახდა დაუცველი და მსგავსი საშიშროება ყველა ქვეყნის წინაშე დგას.

აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის და გთხოვთ, ჩვენი სამძიმარი გადასცეთ გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

აღკვეცა

7 ივლისს კეხიჯვრის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წევრი, მორჩილი **დავით ღონღაძე** ამავე სახელობის ტაძარში აღკვეცილ იქნა ბერად (მცირე სქემაში) და სახელად **დულე** ეწოდა (მოწამე დულე კილიკიელის სახელზე).

***

10 ივლისს ურბნისის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წევრი მორჩილი **სოფიო კანაშვილი** წმ. სტეფანე პირველმოწამეს სახელობის ტაძარში აღკვეცილ იქნა მონაზვნად (მცირე სქემაში) და სახელად **სოსანა** ეწოდა (წმ. ნინოს დედის წმ. სოსანას სახელზე).

ხელდასხმა

12 ივლისს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის მედავითნე **გაგა ცერცვაძე** და სახელად **პავლე** უწოდა.

დიაკვანი პავლე ზესტაფონის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

14 ივლისს სოფ. **ზემო ხვედურეთში** მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. ტაძრის წინამძღვარად **დეკანოზი გიორგი მაზმიშვილი** დაინიშნა.

ვულოცავთ

2016 წლის 18 ივლისს ფოთში "ახალი საქართველოს" უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "თანამედროვე უნივერსიტეტის მისია". **კონფერენციის თარიღი დაემთხვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის დაბადების 60 წლისთავს.**

კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს: პროფესორებმა თენგიზ ირემაძემ, სერგო ვარდოსანიძემ, ლალი ზაქარაძემ, მიხეილ გოგატიშვილმა, გიორგი თავაძემ, გიორგი ხუროშვილმა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ წმიდა სინოდის წევრები მიტროპოლიტები: დანიელი, სერგი,ნიკოლოზი, პეტრე, მთავარეპისკოპოსი ზენონი, ეპისკოპოსი მელქისედეკი. მეუფე გრიგოლს საიუბილეო თარიღი მიულოცეს: მეუფე დანიელმა, მეუფე ნიკოლოზმა, დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა მეუფე გრიგოლმა, რომელმაც შეაჯამა კონფერენცია და ვრცლად ისაუბრა ახლადდაფუძნებული უნივერსიტეტის მისიაზე, კონფერენციის მონაწილეებმა მოილოცეს ხობის მონასტერი, მისი სიწმიდენი, სადაც მათ შემოუერთდნენ მიტროპოლიტები იოსები და ანტონი.

„საპატრიარქოს უწყებანი" დიდი სიყვარულით ულოცავს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას საიუბილეო თარიღს და უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლეს უფლისა და დედა ეკლესიის სადიდებლად.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის განცხადება

ა(ა)იპსაქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია 2016—2017 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე: • დოგმატიკა - პროგრამის

არ წყდებოდეს უფლის სადიდებელი და ჩვენთვის სანუგეშო მადლმოსილი ქართული ლოცვა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელო კარისაო, დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ!

ქრისტესმიერი სიყვარულით,

ეკლესიის წინამძღვარი, იღუმენი ექვთიმე (ხარაძე)

ჩვენი ეკლესიის რეკვიზიტებია:

Bank of America
CHECKING ACCOUNT
Business Foundamentals Chk
3250 1883 4286
121000358
IVIRON ICON OF MOTHER OF GOD GEORGIAN
APOSTOLIC ORTHODOX CHURCH OF NORTHERN CA
3283 DE LA CRUZ BLVD STE A
SANTA CLARA, CA 95054-2605
SAVINGS ACCOUNT
Business Inv Acct (basic savings)
3250 4350 7384
121000358
IVIRON ICON OF MOTHER OF GOD GEORGIAN
APOSTOLIC ORTHODOX CHURCH OF NORTHERN CA
3283 DE LA CRUZ BLVD STE A
SANTA CLARA, CA 95054-2605

ვადიან ანაბარზე დაგროვილი შემოწირულობის თანხა გამოყენებულ იქნება მიზნობრივად — ამ სახსრებით ეკლესიისთვის შევიძენთ შენობას ან ავაშენებთ ახალ ტაძარს.

ტაძრების კურთხევა

24 ივლისს ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ლიპარტელიანი) აკურთხა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარისას მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია.

***

28 ივლისს სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) აკურთხა ეკის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

***

28 ივლისს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ფარცხნალის კახორის მთაზე ახალაგებული წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას სახელობის ეკლესია.

ტაძრის წინამძღვრად იღუმენი ანტონი (სულთანიშვილი) დაინიშნა.

***

1 აგვისტოს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა) აკურთხა საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის ეზოში ახალაშენებული წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია.

***

6 აგვისტოს ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ლიპარტელიანი) აკურთხა ქ. ამბროლაურის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ეკლესია.

***

10 სექტემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვანის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია. ტაძარი 2011 წელს აშენდა როლანდ ტაბატაძისა და თანასოფლელთა თანადგომით. 2015 წელს ტაძარი მოხატა ხატმწერმა გიორგი ვარქადავამ.

ტაძრის წინამძღვრად იღუმენი ანტონი (სულთანიშვილი) დაინიშნა.

***

20 სექტემბერს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) აკურთხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. მაზანდარის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია. ტაძრის ქტიტორია გელა ქარდავა, არქიტექტორი — ელგუჯა გოგოხია, მშენებელი — ანზორ აბულაძე. ტაძარი მოხატა ხატმწერმა მერაბ ჩაკვეტაძემ.

ტაძრის წინამძღვრად მღვდელი სერაფიმე ზარქუა დაინიშნა.

ხელდასხმა

9 ოქტომბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ გიორგი ბერიშვილს, ხოლო დიაკვნად — ბერ ლუკას (ძებნიაური).

***

25 სექტემბერს ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან რომანოზ ხაბურზანიას.

***

18 სექტემბერს ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან იოანე აკობიას.

საკვირაო სკოლის კურთხევა

18 სექტემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. სამლოცველო სახლთან არსებული საკვირაო სკოლა.

ტაძრის კურთხევა

15 ოქტომბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, **სოფ. მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის** სახელობის ახლადაღდგენილი ტაძარი. თავის დროზე ამ ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი დავითი (დევდარიანი) მოინათლა. ეკლესია ბატონ პაატა დევდარიანის ძალისხმევით აღდგა.

ტაძრის წინამძღვრად დროებით **იღუმენი ანტონი (სულთანიშვილი)** დაინიშნა.

აღკვეცა

27 აგვისტოს მცხეთის წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში **მღვდელ-მონაზონმა სერაფიმემ (ჯიქია)** მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი მარიამ ბიბილეიშვილი** და სახელად **მარინე** უწოდა.

ხელდასხმა

16 ოქტომბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან სვიმონ მჭედლიძეს.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ თბილისში, ნუცუბიძის II ფერდობზე მდებარე ყოვლადწმინდა სამების ტაძრის წინამძღვარს, პატრიარქის ქორეპისკოპოსის თანაშემწეს, დეკანოზ ანდრია თოდაძეს გარდაეცვალა დედა — ასმათ თოდაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ასმათის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის (საირმის ქუჩაზე მდებარე) წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბასილ გოგილაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დეკანოზი ბასილი წარსულში მოღვაწეობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ისტორიულ ქართულ კუთხეში — საინგილოში და იყო კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი. ქართული, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოღვაწეობის გამო, მამა ბასილ გოგილაშვილი აზერბაიჯანულმა ხელისუფლებამ დეპორტით გამოაძევა და ქვეყანაში შესვლა აუკრძალა, რის შემდეგაც იგი მოღვაწეობდა თბილისში, წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძარში.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული თამაზ სახეიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული თამაზის სული.

სტუმრებთან საუბრისას კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მადლობა გადაუხადა დიდი ბრიტანეთის მთავრობას იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც საქართველო გრძნობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, და აღნიშნა: „მსოფლიოს წინაშე მდგარი ზოგადსაკაცობრიო პრობლემები ერთობლივი ძალებით უნდა გადაწყდეს. არ შეიძლება, რომ შეიარაღებული კონფლიქტების კერების არსებობა დავუშვათ მსოფლიოში." უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გაიხსენა თავისი ვიზიტის შესახებ დიდ ბრიტანეთში და დიდი პატივისცემით მოიკითხა მისი უდიდებულესობა, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი.

პატრიარქთან საუბრისას ბატონმა მარკ პრიჩარდმა აღნიშნა, რომ იგი საქართველოში იმყოფება, როგორც არჩევნების დამკვირვებელი. მან ძალიან მაღალი შეფასება მისცა ჩატარებულ არჩევნებს და განაცხადა, რომ მთლიანობაში არჩევნები ჩატარდა დემოკრატიის პრინციპების დაცვით, მაღალპროფესიონალურ დონეზე.

შეხვედრის დასასრულს ბრიტანელმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პატრიარქს გულთბილი მიღებისთვის და ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვეს.

ტაძრის კურთხევა

5 სექტემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **ყინწვისის** წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრად **იღუმენი შიო (მამისაშვილი)** დაინიშნა.

***

23 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **აბისის** წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის სახელობის მამათა ციხე-მონასტერი. ამავე დღეს კერძო დიაკვნად აკურთხა **ბერი გერმანე (ბერიკაშვილი)** და ამ მონასტრის წინამძღვრად დაადგინა.

***

30 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **ბერმუხის** წმ. იოსებ კათოლიკოსის სახელობის ტაძარი.

ხელდასხმა

28 აგვისტოს მუხილეთის ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქვათეთრის ყოველთა ქართველ წმინდანთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, **ბერ-დიაკვან ალექსის (ნიკოლიშვილი).**

***

16 ოქტომბერს ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი იმავე ტაძრის **დიაკვან ლუკა რუსაძეს.**

***

23 ოქტომბერს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა **ლაზარე რეხვიაშვილი.**

***

30 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერმუხის წმ. იოსებ კათოლიკოსის სახელობის ტაძარში დიაკვნად აკურთხა სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის მონასტრის წევრი, **ბერი კოზმა (კაპანაძე).**

ახალი გამოცემა

ახლახან გამოიცა საქართველოს სოციალური მეცნიერების აკადემიის წევრის, ტარიელ მგელაძის წიგნი „ილია მეორის სიბრძნის კიდობანი", რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 83-ე, ბერად აღკვეცის 58-ე და პატრიარქად აღსაყდრების 38 წლისთავს ეძღვნება. წიგნი გამოიცა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოეს კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით.

კრებულში წარმოდგენილია როგორც მისი უწმინდესობის შესახებ სხვადასხვა ცნობილი ადამიანების ხატოვანი გამონათქვამები და პატრიარქის ბიოგრაფიული ცნობები, ისე თემატურად დალაგებული თავად კათოლიკოს-პატრიარქის გამონათქვამები სხვადასხვა საკითხებზე.

„პატრიარქის მამამთავრობის ხანა ღვთის საჩუქარია — ჩვენი ერისადმი მიძღვნილი...

პატრიარქის რჩეული გამონათქვამების, აზრების, აფორიზმების, დარიგებებისა და განმარტებების ჩამონათვალი, მათი მრავალფეროვნება, სწორედ სიბრძნის კიდობანად გვესახება, რაოდენ მრავალმხრივი და მდიდარია ეს საგანძური. თითქმის არ არსებობს, როგორც რელიგიურ, ასევე საერო ცხოვრებაში არსებული აქტუალური საკითხი და მიმართულება, რაზედაც მას გამოთქმული არ ჰქონდეს თავისი კომპეტენტური შეხედულება და მოსაზრება" — წერს წინასიტყვაობაში კრებულის ავტორ-შემდგენელი, ტარიელ მგელაძე.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი და საპატრიარქოსთან არსებული საგვარეულოების კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაგუების გვარის საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე გიორგი (გულივერ) გაგუა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული გიორგის სული.

ქრონიკა. ინფორმაცია

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია საპატრიარქოს ეწვია

4 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი დელეგაცია, პლოეშტის მთავარეპისკოპოს ვარლაამის (მერტიკარუ) მეთაურობით. სტუმრებს თან ახლდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში, ბატონი ილია გიორგაძე. მიღებას ესწრებოდნენ: კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე) და ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი).

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რუმინელი სასულიერო პირები საქართველოს მომლოცველობითი მიზნით ეწვივნენ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გულითადად მიესალმა რუმინეთიდან ჩამოსულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ წელს საქართველო რუმინეთთან ერთად აღნიშნავს წმინდა ანთიმოზ ივერიელის მონამეობრივი აღსასრულის 300 წლისთავს. „წმინდა ანთიმოზი არის მძლავრი ხიდი, რომელიც აკავშირებს ჩვენს ორ ერსა და ეკლესიას" — ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

კათოლიკოს-პატრიარქმა გაიხსენა, რომ სტუდენტობის წლებში მასთან ერთად სწავლობდა ორი რუმინელი, რომლებიც ცნობილი ადამიანები არიან თავის ქვეყანაში: ესენია — მთავარეპისკოპოსი ლუჩიან ფლორიანი და გიორგი კესარიასკუ, — რომლებიც ბევრს უამბობდნენ თანაკურსელებს რუმინეთისა და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ...

მთავარეპისკოპოსმა ვარლაამა დიდი მადლობა გადაუხადა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს გულთბილი მიღებისთვის და იმ მასპინძლობისთვის, რომელსაც რუმინეთის ეკლესიის დელეგაციას ქართველი მღვდელმთავრები უწევენ ეპარქიებში.

მთავარეპისკოპოსმა ვარლაამმა, რუმინეთის პატრიარქის უნეტარესი დანიელის სახელით, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მიართვა წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხატი, რომელიც წმინდა ანთიმოზის სავანეში შეასრულა ადგილობრივმა მოღვაწემ, პატრიარქ დანიელის წიგნი და რუმინეთის მონასტრებში გამოცემული სასულიერო ლიტერატურა.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა რუმინელ სტუმრებს უსახსოვრა წმინდა გიორგის ქართული ჭედური ხატი და თავისი ეპისტოლენი.

გამომშვიდობებისას მთავარეპისკოპოსმა ვარლაამმა რუმინეთის ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ მიიწვია რუმინეთში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ტაძრის კურთხევა

6 ნოემბერს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აკურთხა დარჩელის წმინდა გიორგის სახელობის ეკ-

ლესია, რომელიც ღვთის წყალობით, სოფლის მოსახლეობის დიდი შრომითა და მონდომებით აშენდა.

ტაძრის წინამძღვრად დადგინდა მღვდელი კონსტანტინე ხვიჩია.

ტრაპეზის განახლება

24 ოქტომბერს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) **ნასამხრალის** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახ. მამათა მონასტერში განაახლა წმ. ტრაპეზი.

***

6 ნოემბერს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) **ბოდბის** წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტრის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განაახლა წმ. ტრაპეზი.

ხელდასხმა

6 ნოემბერს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან დავით ციცვიძეს.**

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში

7 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად გაემგზავრა ხუთდღიანი ვიზიტით ბრიუსელში. ვიზიტს აქვს გაცნობითი ხასიათი. პროექტს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) ახორციელებს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს საპატრიარქოს განათლების სისტემასა და წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრთან პარტნიორობით.

ეკლესიის მხრიდან დელეგაციის შემადგენლობაში არიან: დელეგაციის ხელმძღვანელი: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპო-

ზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მადლობის სიგელი, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემისადმი საქართველოს ეკლესიისა და პირადი განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის. სიგელს თან ერთვის სამახსოვრო მედალი და სამკერდე ნიშანი ცენტრის ემბლემის გამოსახულებით.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მარგვეთისა და უბისის ეპარქიას ეწვია

17 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, თანმხლებ პირებთან ერთად, მარგვეთისა და უბისის ეპარქიას ეწვია.

კათოლიკოს-პატრიარქს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძართან, უამინდობის მიუხედავად, მრავალრიცხოვანი მრევლი დახვდა და დიდი სიყვარულით მიეგება.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გადაიხადა პარაკლისი, დალოცა ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირები და მრევლი. კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარს საჩუქრად გადასცა მაცხოვრის ხატი, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკს (ხაჩიძე) კი უსახსოვრა პანაღია. მეუფე მელქისედეკმა, თავის მხრივ, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიართვა სპილოს ძვლის პანაღია.

აღსანიშნავია, რომ ამ ეპარქიას უწმინდესი და უნეტარესი ილია II პირველად სტუმრობდა.

ტაძრის კურთხევა

21 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ქვედა საზანოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. ტაძარი ბატონმა დავით ნებიერიძემ აღადგინა.

ხელდასხმა

20 ნოემბერს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის

წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის დიაკონ გიორგი კუდუხოვს. მამა გიორგი იმავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

20 ნოემბერს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად დაასხა ხელი მევლუდ ცოტნიაშვილს და მარკოზი უწოდა. დიაკონი მარკოზი თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

30 ოქტომბერს მარნეულის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში მარნეულის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ჯამდელიანი) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ აკაკი ლიპარტელიანს. მღვდელი აკაკი მარნეულის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

ლაზური რთველი თბილისში

27 ნოემბერს, დღის 2 საათზე, თბილისში, ლისის ტბაზე მშენებარე საპატრიარქოს საეკლესიო ღვინის მარანში, დაიწურა ჩხავერის უნიკალური ჯიშის ყურძენი, რომელიც საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა ლაზებმა შეიძინეს.

იმავე დღეს მერიის გამწვანების სამსახურთან ერთად დაირგო 100-მდე სხვადასხვა ჯიშის ხის ნერგი.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გააშენა წითელი საღვინე ჯიშის ვაზი.

მელსაც სათავე უძველეს დროიდან დაედო. სტუმრებმა დიდი მადლიერება გამოხატეს ქართველი ერის მიმართ, რომ საქართველოში ანტისემიტიზმი არასოდეს ყოფილა და დღესაც განსაკუთრებული დამოკიდებულება არის ამ ორ ერს შორის.

პატივისცემის ნიშნად მათ პატრიარქს სიმბოლური საჩუქარი გადასცეს და წმ. ილია წინასწარმეტყველის საგალობელი შეასრულეს.

სტუმრები ბულგარეთიდან

2 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ეწვია ბულგარეთიდან ჩამოსული დელეგაცია, რომელთა შორის იყვნენ: ცნობილი ჟურნალისტი ევგენია დმიტროვა – ჰიმირსკი, აკადემიკოსი იანკა კრუმოვა-ტაკევა, ბულგარეთის პედაგოგთა სინდიკატის თავმჯდომარე კირილ არნაუტსკი, იუნესკოს ბულგარეთის კულტურული ფონდ „სოზოპოლის" თავმჯდომარე ვალენტინ მიტევი, ბულგარეთის უნივერსიტეტის რექტორი მილენა ბალენსკა, სამხატვრო სკოლების ხელმძღვანელები – ლიუბენ ნაიდენოვა და ტატიანა კოსტადინოვა, 4 ნორჩი მხატვარი და სხვები.

შეხვედრაზე ისაუბრეს ბულგარულ-ქართულ ურთიერთობებზე, ბავშვებმა კი საჩუქრად პატრიარქს თავიანთი ნახატები გადასცეს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოში კანადის ელჩი მიიღო

ამა წლის 30 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოში კანადის ელჩი, კრის კუტერი მიიღო.

შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და თბილ ვითარებაში ჩაიარა.

პროექტის „მთას ვუბრუნდებით შვილები" გამარჯვებული ბავშვები სტუმრად კათოლიკოს-პატრიარქთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა განახორციელა სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი, „მთას ვუბრუნდებით შვილები", რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

1 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ მიიღო აღნიშნულ პროექტში გამარჯვებული ბავშვები, რომელთაც კათოლიკოს-პატრიარქის წინაშე წარმოადგინეს თავიანთი საინტერესო ნააზრევი, თუ როგორ შეიძლება ძირძველი მაღალმთიანი რეგიონებს სოფლების აღორძინება, რის გამოც მისი უწმინდესობის შექება დაიმსახურეს.

შეხვედრის დასასრულს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერმა, ვახტანგ ნივწივაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზად არის თავის სტუდენტებს, რომლებიც უმაღლესის დამთავრების შემდეგ შექმნიან ოჯახებს და დასახლდებიან მაღალმთიანი რეგიონებს სოფლებში, ხუთი წლის გამნავლობაში მატერიალურად დაეხმარო, რათა მათ შეიძინონ შინაური ცხოველები, გააშენონ ბაღ-ბოსტანი და შეიქმნან სათანადო პირობები მთაში დასამკვიდრებლად.

დაჯილოდება

13 დეკემბერს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დეკანოზის ხარისხში აღიყვანა და ოქროს ჯვრებით დააჯილდოვა მღვდლები **გიორგი გურული** და **ნიკოლოზ პეტროვსკი.**

ტაძრის კურთხევა და დაჯილდოება

4 დეკემბერს სამთავისისისა და კასპის ეპისკოპოსმა დამიანემ (ხუფენია) კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხომლეში აკურთხა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახლად აშენებული ტაძარი (ქტიტორი გიორგი (ჯამბული) ლელაშვილი).

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი **გაბრიელ კერესელიძე.**

იმავე დღეს, პირველ სადღესასწაულო წირვაზე, სამთავისისისა და კასპის ეპისკოპოსმა დამიანემ მღვდელი გაბრიელ კერესელიძე ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

ხელდასხმა

11 დეკემბერს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის მთავარ **დიაკონს ირაკლი ჯალიაშვილს,** ხოლო დიაკვნად — ამავე ტაძრის სტიქაროსანს, **სერგი კიასაშვილს** და სახელად ვახტანგი უწოდა.

მღვდელი ირაკლი და დიაკონი ვახტანგი რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძარში იმსახურებენ.

* * *

30 ივლისს ახალციხის წმ. მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ანდრია ბეროშვილს.**

მღვდელი ანდრია თბილისის წმ. იოაკიმე და ანას სახელობის ტაძარში იმსახურებს.

***

6 ნოემბერს ახალციხის წმ. მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმ. ჯვრის მამის სახელობის ტაძრის **დიაკვან ზაქარია აბჟანდაძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **დავით ადამაშვილი.**

***

15 ნოემბერს ელიას მთის წმ. საბა განმწმედელის სახელობის ტაძარში ცურტაველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად აკურთხა **მამუკა სვანიძე** და სახელად **ნიკოლოზი** უწოდა.

***

20 ნოემბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის **მედავითნე სერგი სვიანიძე** და სახელად **პეტრე** უწოდა.

***

30 ნოემბერს ღელეს წმ. ლაზარე ხატმწერის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა აბისის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა ციხე-მონასტრის წინამძღვარი, **ბერი გერმანე (ბერიკაშვილი).**

ტაძრის კურთხევა

12 ნოემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **სოფ. აბისის** ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი.

***

13 ნოემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **სოფ. დირბის** სამწმიდათა — წმ. იოანე დამასკელის, წმ. ქალწულმოწამეთა ბარბარესა და იულიანას სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **ილუმენი იოანე (ოხანაშვილი)** დაინიშნა.

***

22 ნოემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა სოფ. ბრეძის კვირაცხოვლის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **მღვდელ-მონოზონი იაკობი (ალხანიშვილი)** დაინიშნა.

ტაძრის საძირკვლის კურთხევა

11 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის **სოფ. ცხრაწყაროს** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის საძირკველი, რომელიც სოფლის მცხოვრებთა ინიციატივით შენდება.

აღკვეცა

4 დეკემბერს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) ამავე მონასტრის **მორჩილი თორნიკე მინდიაშვილი** და სახელად **ილარიონი** უწოდა (წმ. ილარიონ ყანჩაველის სახელზე).

***

4 დეკემბერს, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე მცხეთის ანტიოქიის წმინდა სტეფანე პირველმოწამის ტაძარში **მღვდელმონაზონმა სერაფიმემ** (ჯიქია) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი **გვანცა** (გახარია) და სახელად **ბარბარე** უწოდა.

***

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე" ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მონაწილეობას იღებს გაეროს ქალთა გილდიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საახალწლო საქველმოქმედო გამოფენაში.

ეს ღონისძიება ყოველწლიურად იმართება და მასში მსოფლიოს 70 – მდე ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის საქართველოც.

წელს ფონდის მიერ გამოფენაზე წარადგინეს საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო სახელოსნოებში შექმნილი თექისა და ქართული ტიხრული მინანქრის ნამუშევრები, რომელთაც დამთვალიერებლების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

კონფერენცია თემაზე – „გამოწვევები ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციისა და ევროინტეგრაციის გზაზე"

საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 29 ნოემბერს კავშირი „21-ე საუკუნის'' მიერ ორგანიზებულ იქნა კონფერენცია „გამოწვევები ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციისა და ევროინტეგრაციის გზაზე"

შეხვედრაზე წარმოგიდგენილი იყო ორ გამოცემა – „გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება'' და „რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში''.

პუბლიკაციებში პრობლემები განხილული

***

19 დეკემბერს ქარელის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბერმუხის წმ. მერკვირის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან იოანეს (ნინიაშვილი).**

***

18 დეკემბერს, რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის მთავარდიაკონ გიორგი ბუაჩიძეს, ხოლო დიაკვნად აკურთხა — ამავე ტაძრის სტაიქაროსანი ვალერი ფოფხაძეს და სახელად საბა უწოდა.

მღვდელი გიორგი ბუაჩიძე და დიაკონი საბა ფოფხაძე რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებენ.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 17, 24 დეკემბერს, 13.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 13, 27 დეკემბერს, 18.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 17 დეკემბერს, 17.15 სთ., 23 დეკემბერს, 18.00 სთ.;

ნევროლოგი — 15 დეკემბერს, 17.00 სთ.;

დერმატოლოგი — 14 დეკემბერს, 13.00 სთ.;

ეპილეფტოლოგი — 25 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.

ფთიზიატრი — 17 დეკემბერს, 12.00-13.00 სთ.;

კარდიოლოგი — სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 17.30 სთ.

ალერგოლოგის, სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ინფექციონისტისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ახალი გამოცემა

გამოიცა არქიმანდრიტ ლაზარეს (გაგნიძე-დვალი) ნაშრომი „ბიბლიური მცენარეები", რომელიც წმინდა წერილში მოხსენიებულ მცენარეებს, ბიბლიის ორიგინალში არსებულ და სხვადასხვა ენებზე (მათ შორის ქართულად) თარგმნილ მათ სახელწოდებებს, ამ მცენარეთა წმინდა მინაზე გავრცელების არეალსა და თავისებურებებს აღწერს.

„ძველი აღთქმის ეპოქიდან დაწყებული, მცენარეთა სახელები თაობიდან თაობამდე ზეპირი სახით გადაეცემოდა შთამომავლობას, წმინდა ბიბლიის წყალობით კი მცენარეთა ყველაზე მეტად გავრცელებული სახელები უცვლელი სახით თავდაპირველი ებრაული სახელწოდებებით კულტურულ მემკვიდრეობად მიიღო კაცობრიობამ...

როდესაც ებრაულ ტექსტებთან ვადარებთ სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ბიბლიის ტექსტებს, ვხვდებით ფაქტებს, როცა ერთი და იგივე მცენარე ებრაულიდან სხვადასხვა ენაზე თარგმნილია არა მისი შესატყვისით, არამედ სხვა მცენარის სახელწოდებით, ვთქვათ იალღუნი – ნეკერჩხლის, ჭადარის ან ვერხვის სახელწოდებით. ამგვარი ვითარება სუფევს თითქმის ყველა თარგმანში, იქნება ის ინგლისური, გერმანული თუ რუსული. იგივე ბედი დაჰყვა ბიბლიის ქართულ თარგმანსაც. ღვთის შენევნით ჩვენ შევეცადეთ წინამდებარე გამოცემაში ქართული მასალის მაგალითზე გვეჩვენებინა ბიბლიის უცხოურ ენებზე შესრულებულ თარგმანებში არსებული ვითარებაც" - წერს წიგნის წინასიტყვაობაში მამა ლაზარე.

წიგნი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და უხვადაა ილუსტრირებული. იგი დააინტერესებს როგორც თეოლოგებსა და მეცნიერებს, ისე სასულიერო და საერო სასწავლებელთა სტუდენტებსა და ზოგადად, ნებისმიერ მკითხველს.

სერგო კერესელიძე

დაჯილდოება

13 დეკემბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იღუმენი ანდრია (ალადაშვილი) არქიმანდრიტის ხარისხში აღიყვანა, ხოლო დეკანოზი ვახტანგ ალთუნაშვილი — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

* * *

18 დეკემბერს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ დეკანოზი გიორგი გეთიაშვილი მეორე ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა, ხოლო დეკანოზი დავით დელიბაშვილი — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

აღკვეცა

7 დეკემბერს ბერმუხის წმ. მერკვირის სახ. მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) იმავე მონასტრის მორჩილი **იაკობ ჭიტაძე** და სახელად **მერკვირი** უწოდა (დიდმონამე მერკვირის სახელზე).

***

9 დეკემბერს შატბერდის წმ. იოანე-თორნიკეს სახ. მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) იმავე მონასტრის მორჩილი **მიქაელ შიბაშუკელი** და სახელად **მაკარი** უწოდა (წმ. მაკარი მმარხველის სახელზე, ხახულის მონასტრის წინამძღვრისა).

***

11 დეკემბერს ბერთას წმ. ალექსი შუშანიას სახ. მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) იმავე მონასტრის მორჩილი **გერმანე კვარაცხელია** და სახელად **პაისი** უწოდა (პაისი ათონელის სახელზე).

***

12 დეკემბერს მზოვრეთის ათცამეტ ასურელ მამათა სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) იმავე მონასტრის მორჩილები: **ზურა სარჯველაძე** — სახელად უწოდა **იოველი** (მთავარანგელოზის სახელზე); **ნიკოლოზ ღონღაძე** — სახელად უწოდა **ვარაქიელი** (მთავარანგელოზის სახელზე); **გიორგი ჯოხაძე** — სახელად უწოდა **სერაფიმე** (წმ. სერაფიმე საროველის სახელზე).

***

18 დეკემბერს, სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონატრის სულიერმა მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე-დვალი), მონაზვნად აღკვეცა მორჩილები: ნანა ლაზაშვილი, რომელსაც უწოდა ელისაბედი, ელენე თანიაშვილი, რომელსაც უწოდა ანუსია და მარინე კვახაძე, რომელსაც უწოდა საბიანა და მორჩილად აკურთხა: ზოია ჩიტიაშვილი და თამარ კუჭაშვილი.

ხელდასხმა

15 დეკემბერს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან ისეს (ამაშუკელი).**